პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა,
26 აგვისტო,
1956 წელი.
№ 70 (980).
ფასი 80 კაპ.
გამოცემის მე-13 წელი

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

მეშახტის დღე



ფოლადის მაგისტრალებზე სწრაფად მიმოჰქრიან ორთქლმავლები, ტალღებს მიაპობენ გემები, დღედაღამე მუშაობენ ელექტროსადგურები, ფაბრიკა-ქარხნები სულ უფრო ზრდიან პროდუქციის გამოშვებას, ხელს უწყობენ მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ ამაღლობას. სახელოვანი კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ბრძნულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების საქმეში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია წარმოების პურს — ქვანახშირს.

ჩვენი თვალუწვდენი სამშობლო მდიდარია ამ შესანიშნავი წიაღისეულით. დონეცის, კუზნეცკის, საქართველოსა და სხვა მხარეების შახტებიდან ამოღებული ქვანახშირი ჰკვებავს ყოველდღიურად მზარდ მრეწველობას. ჩვენი გეოლოგები კი კვლავ განაგრძობენ სამშობლოს მთებისა და ხეობების შესწავლას, რათა აღმოაჩინონ ახალი საბადოები და ერთიორად გაზარდონ ძვირფასი სამრეწველო ნედლეულისა და შესანიშნავი სათბობის — ქვანახშირის მარაგი.

ჩვენს სამშობლოში უდიდესი პატივისცემით სარგებლობენ მეშახტეები — შესანიშნავი პროფესიის ადამიანები. მათ კარგად ესმით, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლიათ მშობლიური ინდუსტრიის განვითარებაში, სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებაში.

რამდენიმე თვის წინათ პარტიამ და მთავრობამ მოუწოდეს ახალგაზრდებს წასულიყვნენ შახტებში სამუშაოდ. სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას, ისე, როგორც ყამირი და ნახვენი მიწესაკენ, შახტებისაკენაც დაიძრა მოხალისეთა ლაშქარი. ენერგიით, სიცოცხლით სავსე ვაჟკაცები ჩაეშვნენ შახტებში. ახალი ძალით გაჩაღდა შრომა ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ამას წინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა და უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ი. კირიჩენკომ ინახულეს დონეცის ქვანახშირის აუზი. სტალინოს ოპერისა და ბალეტის თეატრში შეიკრიბნენ მეშახტე კომბაინერები, საყელავი მანქანების მემანქანეები, გამყვანები, შახტებისა და ახალმშენებლობათა ინჟინრები. დღის წესრიგში იდგა საკითხი ქვანახშირის ამოღების გადიდების შესახებ. ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელმაც დაწვრილებით ილაპარაკა დონბასის ქვანახშირის მნიშვნელობაზე და იმაზე, თუ რა აფერხებს ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმის შესრულებას. თავისი სიტყვის დასასრულს, ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა:

„ამხანაგო მეშახტეებო! თქვენი შრომა მძიმეა, მაგრამ კეთილშობილურია. ათასობით ადამიანი მოდის შახტში იმიტომ, რომ ეს ესაჭიროება სამშობლოს. დიდება იმ კომკავშირელებს, რომლებიც გულლიად და წმინდა სულით გამოეხმაურნენ ჩვენი პარტიისა და მთავრობის მოწოდებას".

ტყვარჩელი, ტყიბული, ახალციხე. აი საქართველოს რაიონები, სადაც ქვანახშირის დიდი საბადოებია. აქ, მთების გულში სტახანოვური შრომაა გაჩაღებული. ვაგონეტები განუწყვეტლივ ეზიდებიან ქვანახშირს, რომელიც ჰკვებავს საქართველოსა და აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების საწარმოებს. ისე, როგორც დონბასის, კუზბასის, მოსბასისა და სხვა შახტებში, საქართველოს შახტებშიც ინერგება ახალი მექანიზმები. საშახტო კომბაინებმა დიდად შეუწყო ხელი ქვანახშირის ამოღების გეგმების შესრულებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ახლა, როდესაც ჩვენი პარტია და მთავრობა მშრომელთა ყურადღებას მიაპყრობს ქვანახშირის ამოღების გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისაკენ, როდესაც ახალგაზრდობა მასობრივად მოაწყდა შახტებს, საჭიროა ძირეულად გარდავქმნათ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა მეშახტეთა შორის. ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები ერთი წუთითაც არ უნდა შეურიგდნენ მეშახტეთა შორის სპორტული მუშაობის შესუსტებას. ადამიანი, რომელიც მიწისქვეშ თავისი შრომით დოვლათს ჰქმნის და ამით ხელს უწყობს სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, პატივისცემისა და დაფასების ღირსია, მისთვის ფიზიკურ გაკაჟებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამიტომ ჩვენი ვალია, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რათა შახტებთან გვყავდეს ბრძოლისუნარიანი ძირეული კოლექტივები, იქ უნდა ჩქეფდეს ფიზკულტურული საქმიანობა. მეშახტემ თავისი დასვენების დღე და თავისუფალი საათი უნდა გაატაროს სპორტულ სექციაში, შეჯიბრებებში. ეს ხალისს შეიტანს მათს ყოველდღიურ საქმიანობაში და შრომასაც მეტი ნაყოფი ექნება.

„შახტიორის" რესპუბლიკურმა საბჭომ ამ უკანასკნელ ხანებში გამოაცოცხლა მუშაობა, რამდენიმე ლონისძიებაც ჩაატარა, სპარტაკიადაც მოაწყო, მაგრამ მისი საქმიანობა ჯეროვან სიმაღლეზე მაინც არა დგას. მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ახლო არ არის ძირეულ კოლექტივებთან, არ იცის რა დახმარება ჭირდებათ მეშახტე ფიზკულტურელებს. მეშახტეთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დაბალი დონე ადგილობრივი ფიზკულტურული კომიტეტების უყურადღებობის ბრალიცაა.

დღეს ჩვენი სამშობლო, აღნიშნავს რა მეშახტის დღეს, მხურვალედ მიესალმება თავის ერთგულ შვილებს — მეშახტეებს და უსურვებს მათ წარმატებებს შრომასა და სპორტში.

ე. კშესინსკაიას მსოფლიო რეკორდი

ბუდაპეშტში უნგრეთის ახალგაზრდობის სპორტულ კვირეულთან დაკავშირებით ჩატარდა მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება.

თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია პოლონელმა სპორტსმენმა ქალმა ე. კშესინსკაიამ. იგი 6 მეტრსა და 35 სანტიმეტრზე გადახტა, რითაც 4 სანტიმეტრით გააუმჯობესა გ. პოპოვას (საბჭოთა კავშირი) მსოფლიო რეკორდი. ახალგაზრდა მხტომელი ახლა ჩინებულ სპორტულ ფორმაშია. ექვს ცდაში მან ასეთი შედეგები აჩვენა: 5,88, 6,07, 6,28, 6,35, 6,13 და 6,04.

მეორე ადგილზე გამოვიდა უნგრელი ო. დიარმატი — 5,83 მ.

მოსწავლეთა სპარტაკიადა

22 აგვისტოს მოსკოვში დაიწყო მოსწავლეთა III საკავშირო სპარტაკიადა, რომელშიც 4.000-მდე ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობს. ჩვენი სპორტსმენი გოგონები და ჭაბუკები ერთმანეთს ეჯიბრებიან მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ველოსპორტში, სროლაში, ცურვაში, ფრენბურთში და კალათბურთში. სპარტაკიადაში კონკურსგარეშე მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსწავლეები.

წვიმამ ხელი შეუშალა სპარტაკიადის საზეიმო აღლუმის ჩატარებას, მხოლოდ საღამოს დაიწყო მძლეოსანთა ასპარეზობა. ამანათრბენში 4×100 მეტრზე როგორც გოგონებში, ისე ჭაბუკებში ფინიშთან პირველი მივიდნენ მოსკოვის გუნდები. მეორე დღეს მოეწყო სპარტაკიადის საზეიმო გახსნა. მონაწილეებს მიესალმა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. დანილოვა. ზეიმი გაიხსნა „მხიარული ამანათრბენით", რომელშიც მონაწილეობდნენ „ნორჩ პიონერთა" სტადიონის აღზრდილები — ფეხბურთელები, ჩოგბურთელები, ფრენბურთელები, ტანმოვარჯიშეები.

100 მეტრზე რბენაში ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა ჩეხმა მოსწავლემ ვალერი კინოსმა, რომელიც კონკურსგარეშე მონაწილეობდა. მისი დრო 10,9 წამი. სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ლენინგრადელმა ე. ოზოლინმა. გოგონებში პირველი იყო მოსკოველი ნ. სოლოვიოვა, სავრძეზე ხტომაში ვაჟთა შორის ყველას აჯობა ა. ტერ-ოვანესიანმა (უკრაინა), გოგონებში — უკრაინელმა ე. კუდრიავცევამ.

მინსკის გზატკეცილზე გაიმართა ველოსიპედისტთა შეჯიბრება. გოგონებში პირველობა მოიპოვა უკრაინის გუნდმა, ხოლო ჭაბუკებში — გზათა სამინისტროს კოლექტივმა.

24 აგვისტოს შეჯიბრებაში ჩაებნენ მოცურავეები. 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში გამარჯვებული გამოვიდა რსფსრ-ს წარმომადგენელი რ. კამაევა, ჭაბუკებში პირველი იყო აზერბაიჯანის გუნდის წევრი ე. კაზარიანი. ამავე მანძილზე თავისუფალი სტილით ცურვაში ფინიშთან პირველი მივიდა რ. არყაღიევა (საქართველო), ხოლო ვაჟთა შორის — მოსკოველი ვ. პოლევოი.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. **სურათზე:** 80 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებული ნ. ვინოგრადოვა (მარჯვნივ), რომელმაც ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა მძლეოსნობის ამ სახეობაში. ნ. ვინოგრადოვას ულოცავს 80 მეტრზე თარჯრბენში ყოფილი რეკორდსმენი გ. გრინვალდი.

დაძლეულია 7.595 მეტრი სიმაღლე

მუზტაგ-ატას ალების შემდეგ საბჭოთა და ჩინელი ალპინისტების ყურადღება კეშიბერსუს ველის იქით მდებარე კუნგურის მთებმა მიიქცია.

ალპინისტებმა მწვერვალზე ასვლის გზის ძებნის დროს შეისწავლეს ვეებერთელა მყინვარი და გადაწყვიტეს მის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალ კუნგურტიუბე-ტაგზე (7.595 მეტრი) იერიში მიეტანათ. ექსპედიციის მომზადებისათვის დრო არ რჩებოდა და ამიტომ მაშველი რაზმის თანხლებით იერიშზე წავიდა 8 მთამსვლელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი კუზმინი (ხელმძღვანელი), რეუდელნიკოვი, ჩენ ჯუნ-ჩანი, პენ ჟუნ-მუნი და სხვ.

ავდარმა და თოვამ ვერ შეაჩერეს ალპინისტთა მოძრაობა. 6.200 მეტრის სიმაღლეზე ისინი მაშველ რაზმს დაცილდნენ. მეორე დღეს, 15 აგვისტოს, ოსტატურად გადალახეს რა სერიოზული დაბრკოლება, 800 მეტრის სიმაღლის თოვლიან-ყინულოვანი კედელი, 7.000 მეტრის სიმაღლეზე ავიდნენ. 16 აგვისტოს შუადღეზე ალპინისტებმა კუნგურტიუბე-ტაგი დაიპყრეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ასეთ სიმაღლეზე ასვლა საბჭოთა ალპინისტების პრაქტიკაში პირველი შემთხვევაა.

ექსპედიციის მონაწილენი, რომლებსაც სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ბელეცკი ხელმძღვანელობს, იკვლევდნენ მუზტაგ-ატასა და კუნგურის მთის მასივებს. მთამსვლელებმა რუკაზე პირველად შეიტანეს მდინარეების, მყინვარებისა და მათი მწვერვალების ადგილობრივი სახელები. მათ აგრეთვე მოაგროვეს მდიდარი ბოტანიკური და გეოლოგიური კოლექციები.

სრულიად ჩინეთის პროფკავშირების მიწვევით ექსპედიციის მონაწილენი პეკინს ჩავიდნენ.



სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები (ზევიდან ქვევით) — გ. ეგნატაშვილი, მ. თიკანაძე, გ. ავალიშვილი.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" რედაქციამ დააწესა სპეციალური ჯილდო: ყველაზე ახალგაზრდა მონაწილისათვის, რომელმაც შეასრულა ოსტატის ნორმა, ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენისათვის, რომელმაც სპარტაკიადაზე დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი და სპარტაკიადის საუკეთესო მძლეოსნისათვის.

სპარტაკიადის დღეებში მრავალმა სპორტსმენმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, მათ შორის ბევრი იყო ჭაბუკი და ქალიშვილი, მაგრამ პრიზი გადაეცა უკრაინელ გ. ანდროსოვს, რომელსაც პირველ აგვისტოს შეუსრულდა 17 წელი. იგი ლვოვის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეა. 1.500 მეტრზე ცურვაში მან არა მარტო ოსტატის ნორმატივი შეასრულა, არამედ სპარტაკიადის ჩემპიონობაც მოიპოვა.

სპარტაკიადის დღეებში ახალგაზრდების მიერ მრავალი საკავშირო რეკორდი იქნა დამყარებული, მაგრამ მათ შორის აღსანიშნავია ტალინელი მოსწავლის უ. ვოოგის საკავშირო რეკორდი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მასვე გადაეცა პრიზი — ყველაზე ახალგაზრდა რეკორდსმენს.

ჟიურისათვის პრობლემატური იყო საკითხი, რომელი მძლეოსნისათვის მიეკუთვნებინათ გაზეთის მესამე პრიზი. მისი პრეტენდენტები იყვნენ კუცი, რუიშჩინი, ფილინი, ციბულენკო, კრივონოსოვი, ოვსეპიანი და იგნატიევი. ჟიურიმ პრიზი მიაკუთვნა ს. რუიშჩინს, რომელმაც ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 3.000 მეტრზე რბენაში — 8,39,8. ქალთა შორის ჯილდო გადაეცა ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ნ. ვინოგრადოვას, რომელმაც ხუთჭიდში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ხალხთა სპარტაკიადის [illegible]

ყველაზე პოპულარული სპორტსმენი

ხალხთა სპარტაკიადის დღეებში, როცა ყველას ყურადღება მიპყრობილი იყო მოსკოვის ცენტრალური სტადიონისა და დედაქალაქის სხვა სპორტული ბაზებისაკენ, როცა ჩვენი სამშობლოს 18 სპორტული დელეგაცია ერთმანეთს ეცილებოდა პირველ ადგილს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, როცა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე მდგომ უძლიერესს ათასობით მაყურებელი მიესალმებოდა, იყო ერთი სპორტსმენი, რომლისთვისაც ჩემპიონის ოქროს მედალი და მაისური არ გადაუციათ, მაგრამ იგი ყველაზე პოპულარობით სარგებლობდა გრანდიოზულ შეჯიბრებაზე. ეს იყო ყაზახეთის კალათბურთელთა გუნდის წევრი ვასილ ახტაევი. როგორც კი გამოჩნდებოდა ეს ბუმბერაზი სპორტსმენი ლუჟნიკის კალათბურთის სარბიელზე, უზარმაზარი სპორტული ბაზა უამრავი მაყურებლით ივსებოდა. არც თამაშისაგან თავისუფალ დროს ჰქონდა ვ. ახტაევს „მოსვენება". მას გარს ეხვეოდნენ, მრავალ კითხვას აძლევდნენ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ავტოგრაფებზე მონადირენი. იმდენად შეიყვარა მოსკოვმა ვ. ახტაევი, რომ დედაქალაქისა და ყაზახეთის ნაკრები კალათბურთელთა გუნდების თამაშის დროსაც კი ყველას სიმპათია ალმა-ატელთა მხარეს იყო. მოსკოველები, სტუმრები, მოძმე რესპუბლიკათა დელეგაციების წარმომადგენლები მხურვალედ განიცდიდნენ ახტაევის გუნდის (აქ ასე უწოდებდნენ ყაზახეთის კალათბურთელთა კოლექტივს) ყოველ წარმატებასა და მარცხსაც კი.

მიუხედავად თავისი გოლიათური აგებულებისა, ვასილ ახტაევს ნამდვილად ბავშვური გული ჰქონია. იგი არა მარტო ყველაზე „დიდი" სპორტსმენი, არამედ ყველაზე ხუმარა და მხიარული ადამიანი იყო. ლატვიისა და ყაზახეთის გუნდების თამაშის წინ ახტაევს ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის ერთ-ერთი წევრი შეეკითხა თუ როგორ გრძნობს თავს და რა საშუალებით აპირებს „დაჯაბნოს" მასსავით გოლიათი იანის კრუმინში. ვასიამ კითხვაზე ასე უპასუხა, რომ მატჩის ბედი მისთვის ჯერ გაურკვეველია, მაგრამ იგი ეცდება აჩვენოს თუ როგორ უნდა თამაში იმ „ძუძუმწოვარას" (კრუმინშს). ყაზახეთის გუნდი თუმცა დამარცხდა ამ მატჩში, მაგრამ ვ. ახტაევმა მართლაც „დაჯაბნა" თავისი საშიში მეტოქე.

მოუსვენარი სტუმრები

გვიან ღამე ისინი სასტუმრო „ნაციონალის" წინ იკრიბებოდნენ. ძილისწინა ნახევარსაათიანი მაციონი შთაბეჭდილებების ხმამაღალ გაზიარებაში გადიოდა. დაგვიანებული მგზავრი ოდნავ გაკვირვებული ათვალიერებდა მხიარულ კომპანიას, რომლისთვისაც ნაშუაღამევის პირველი საათი არაფერს ნიშნავდა.

ლაპარაკი უმთავრესად ინგლისურ ენაზე წარმოებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შეკრებილნი უცხოელები იყვნენ. არ იყო საჭირო ენის ცოდნა იმისათვის, რომ გაგვერკვიათ საუბრის შინაარსი.

დილით ადრე ისინი კიდევ ერთხელ ხვდებოდნენ ერთმანეთს და შემდეგ მათი გზები იქსაქსებოდა მოსკოვის ქუჩების თვალუწვდენელ ლაბირინთებში. ფრანგ როჟე კულონს — ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს მანქანა ლენინის მთებისაკენ მიაქანებდა (აქ, უნივერსიტეტის დარბაზებში ტარდებოდა მოჭიდავეთა და ძალოსანთა შეჯიბრებები), თმაშევერცხლილი არგენტინელი მარიო ნეგრი — ცურვის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი — ლუჟნიკისაკენ მიემართებოდა, ხოლო ბელგიელი გრან განიაჟი — მოყვარულთა კრივის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი — უკვე „დინამოს" სტადიონზე საპატიო სტუმართა ლოჟაში იჯდა.

მოსკოვს არ ახსოვს სპორტის ამდენი უცხოელი სპეციალისტი ერთად, როგორც ეს სპარტაკიადის დღეებში იყო. გრანდიოზული წინასაოლიმპიადო შეჯიბრებაზე (ასე უწოდებდნენ სტუმრები ჩვენს სპარტაკიადას) დასასწრებლად თავიანთი წარმომადგენლები ყველა საერთაშორისო ფედერაციამ გამოგზავნა. ისინი სტუმრების ისეთ კატეგორიას ეკუთვნოდნენ, რომლებსაც შეჯიბრებათა დღეებში პირდაპირი საქმე არ ჰქონდათ და უმთავრესად მაყურებლების როლში გამოდიოდნენ. მაგრამ იყო უცხოელი სტუმრების მეორე ჯგუფი, რომლებისათვისაც ყოველი კალენდარული დღე — ნიშნავდა ახალი სამუშაო დღის დაწყებას. ესენი იყვნენ სხვადასხვა სააგენტოების, გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები, ესენი იყვნენ ის მოუსვენარი და დაუღალავი ადამიანები, რომლებსაც შეხვდებოდით ყველგან: სპორტულ მოედნებზე, გასახდელებში, მსაჯთა კოლეგიების სხდომებზე, ტრიბუნებზე მაყურებელთა შორის და კავშირგაბმულობისა და სატელეფონო განყოფილებებშიც.

... სულ ნახევარი საათის წინ პრესბიუროში დავტოვეთ ამერიკული ჟურნალის „სპორტს ილუსტრეიტედის" კორესპონდენტი ჯეიმს უიტმორი და ორი სხვა რეპორტიორი, რომელთა შორის ერთი ქალი იყო. გვეჩქარებოდა ლენინის მთებზე, სადაც ჩვენი მოჭიდავეები უნდა გამოსულიყვნენ. დროის მოგების მიზნით „მოკლეზე" წასვლა ვირჩიეთ — კატერით გადავჭერით მდინარე მოსკოვი და აღმართს შევუყევით.

დარბაზის შესასვლელ კარებში მოულოდნელად ჯეიმს უიტმორს წავაწყდით. იგი გამწარებით ეძებდა ვილაცას და დამტვრეული რუსულით იმეორებდა ჩვენთვის საკმაოდ ნაცნობ გვარს „ბალავაძე". რამდენიმე წუთის შემდეგ საქართველოს მოჭიდავეთა გუნდის მწვრთნელი და ამერიკელი ჟურნალისტი საკმაოდ „ენაწყლიანად" საუბრობდნენ. უიტმორს აინტერესებდა ყველაფერი, რაც ბალავაძეს შეეხებოდა. შეკითხვები ისეთი თანმიმდევრობითა და სხაპასხუპით მოდიოდა, რომ მწვრთნელი (თარჯიმნის დახმარებით) ძლივს ასწრებდა პასუხის გაცემას.

— როგორ გრძნობს ბალავაძე თავს სტამბოლის შემდეგ? მოურჩა თუ არა მას ხელი? რა აზრისაა თიკანაძე თავისი მოწაფის მელბურნში მომავალი გამოსვლის შესახებ? რას აკეთებს ამჟამად ბალავაძე?

ფანქრის წვერი სწრაფად სრიალებდა ბლოკნოტის ფურცელზე. ბოლოს უიტმორმა შეწყვიტა შეკითხვები, მადლობის ნიშნად ხელი ჩამოართვა მწვრთნელს და გაუჩინარდა.

როჟე კულონი ყოველდღე საჭიდაო დარბაზში იყო. ერთ დღეს იგი ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა.

— რომელ ხალიჩაზე მუშაობს კარტოზია? — იკითხა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა და მიიღო თუ არა პასუხი, პირველ ხალიჩასთან ახლო მოეწყო.

კულონი არ იყო მარტო. ჭიდაობის მოლოდინში იგი რაღაცას ხმამაღლა უმტკიცებდა თავის კოლეგას. შემდეგ დიქტორმა გამოაცხადა კარტოზიასა და ლიტველი ვილუტის გვარი. დარბაზმა პირველ ხალიჩისაკენ გადმოინაცვლა. რეპორტიორებმა მოიმარჯვეს აპარატები, ოპერატორებმა მომართეს ობიექტივები, კორესპონდენტებმა გაშალეს ბლოკნოტები და... ჭიდაობა სულ მალე დამთავრდა. კარტოზიამ იოლად დაიჭირა მოწინააღმდეგე ფანდზე და ნელნელა მიაჯაჭვა იგი ბეჭებით ხალიჩას.

კულონი კმაყოფილი წამოდგა ფეხზე, ხელი გაუყარა მეზობელს და გასასვლელისაკენ გაემართა.

— რა დროს ჭიდაობს ხვალ კარტოზია? — ჰკითხა იქვე მდგომ მსაჯს და მიიღო რა პასუხი, დარბაზიდან გავიდა.

კულონი მეორე დღესაც ვნახეთ დარბაზში, მესამე დღესაც. არ იყო იგი მხოლოდ ფინალზე. მოჭიდავეთა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩვენ მას პრესბიუროში შევხვდით. პრეზიდენტი ინტერვიუს აძლევდა ჩვენ და საბჭოთა კორესპონდენტებს:

— ძნელია წინასწარ რამის თქმა, — დინჯად დაამთავრა საუბარი კულონმა, — ერთს კი ვიტყვი, რომ საბჭოთა მოჭიდავეები მელბურნში ყველაზე სერიოზული მეტოქეები იქნებიან. თუმცა არც შვედები არიან გულხელდაკრეფილები. სტამბოლში ისინი ტაქტიკური მოსაზრებებით არ ჩამოვიდნენ, ეს უფლებას მაძლევს ვიფიქრო, რომ ისინი და[illegible] ემზადებიან.

— ვის თვლით თქვენ ყველაზე [illegible] „კლასიკად" საბჭოთა გუნდში? არ ეშვებოდნენ კორესპონდენტები კულონს.

— ყველას! — მცირედი დაფიქრების შემდეგ გასცა პასუხი პრეზიდენტმა, — მაგრამ ყველაზე სიმპათიურად განწყობილი მაინც კარტოზიას მიმართ ვარ. დამარცხება, რომელიც მან განიცადა, ოდნავადაც არ აყენებს ჩრდილს მის სპორტულ სახელს.

არაჩვეულებრივი გულშემატკივარი

კალათბურთის მოედანს, საჭიდაო სარბიელს, საწყლოსნო აუზს თუ რინგს ერთი ყველაზე უფრო გულშემატკივარი მაყურებელი ჰყავდა. სპორტსმენებს ახალ ძალას ჰმატებდა, აღაფრთოვანებდა მისი შეძახილები. „მიდი", „არ გაუშვა", „ფანდი გაუკეთე", „კალათში ტყორცნე", „არ მოგატყუოს" და ა. შ. განუწყვეტლივ გაიგონებდით ამ ადამიანისაგან. ეს არაჩვეულებრივი გულშემატკივარი, სადაც კი საინტერესო შეჯიბრება იყო ყველგან ასწრებდა მისვლას. იგი სპორტის დამსახურებული ოსტატი, სახელგანთქმული ფეხბურთელი ბ. პაიჭაძე იყო.

მაგრამ ყველაზე „ახლო" ბ. პაიჭაძე მაინც ფეხბურთელებთან და მოჭიდავეებთან იყო. ან როგორ გაეცდენდა იგი მათ რომელიმე შეხვედრას? ერთ-ერთი კალენდარული დღის შემდეგ, საქართველოს კლასიკური ჭიდაობის ოსტატები მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული მანეჟიდან ავტობუსით უკან ბრუნდებოდნენ. ყოველი სპორტსმენის სახეზე შეიძლებოდა ამოკითხვა, რომ დღეს თუმცა გავიმარჯვეთ, მაგრამ წინ კიდევ ბევრი საპასუხისმგებლო შეხვედრა იყო. მომავალი ორთაბრძოლის მოლოდინში ავტობუსში სამარისებური სიჩუმე იყო, ვიდრე იგი ბ. პაიჭაძის ტკბილმა სიმღერამ არ დაარღვია. სახელოვანი სპორტსმენის სადღესასწაულო განწყობილება სწრაფად გადაედო დანარჩენებს, ჰაერს ჰკვეთდა ქართული მელოდიების საამო ჰანგები. განსაკუთრებით აქტიობდნენ გ. სხირტლაძე და შ. დაუშვილი, რომლების მისამართით გ. კარტოზიამ შენიშნა: რატომ არ იმღერებენ, თავიანთი საქმე უკვე გაანაღდეს...

შინ დაბრუნებისას ბ. პაიჭაძემ ყველას ტკბილი ძილი უსურვა. საჭირო იყო დაკარგული ენერგიის აღდგენა, დასვენება, რადგან ხვალ მას ისევ ელოდებოდა—„აბა ბიჭებო, მიდით". „არ მოეშვა", „ფანდი გაუკეთე", „კალათში ტყორცნე", „არ მოგატყუოს"...

ზ. ჯაფარიძე,
ნ. გუგუშვილი.

☆ სპარტაკიადას ესწრებოდა 600 მწვრთნელი. მსაჯობდა 1.322 მსაჯი, მათ შორის 700 მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

☆ შეჯიბრებებს დაესწრო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საფრანგეთის, შვეციის, არგენტინის, ეგვიპტის, ფინეთის, უნგრეთის, ბელგიის, ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის, იუგოსლავიის, დანიის, ნორვეგიის, იტალიის, საბერძნეთის, ავღანისტანის, ირანის, ისლანდიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სირიის სპეციალისტები და საერთაშორისო სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

☆ სპარტაკიადის დღეებში სპორტის ოსტატის ნორმატივი აჩვენა 445 მონაწილემ. მათ შორის 189-მა პირველად მოიპოვა ეს საპატიო წოდება. არასრული ცნობებით შეჯიბრებებს დაესწრო მილიონზე მეტი მაყურებელი.

ხალხთა სპარტაკიადაზე, ბირთვის კვრაში ქალთა შორის თავი გამოიჩინა თ. ტიშკევიჩმა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა რა ცნობილი მძლეოსანი გ. ზიბინა, პირველი ადგილი დაიკავა.

* * *

სურათზე: გ. ზიბინა (მარცხნივ) გამარჯვებას ულოცავს თ. ტიშკევიჩს.

ფეხბურთი

ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 26 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი"	17	11	3	3	55:23	25
„დინამო" მ.	18	8	7	3	34:23	23
„დინამო" კ.	16	6	7	3	22:17	19
„ბურევ."	17	8	3	6	30:37	19
„ტორპედო"	16	6	5	5	29:24	17
ცდსა	16	6	5	5	26:24	47
„შახტიორი"	18	4	7	7	25:37	15
„ლოკომოტივი"	17	3	8	6	20:20	14
„დინამო" თბ.	17	5	4	8	29:32	14
„ზენიტი"	15	2	10	3	16:24	14
ოფ. სახ. სვ.	15	4	3	8	21:32	11
„შრ. რეზერვ."	16	2	6	8	18:32	10

• • •

სვერდლოვსკი. 22 აგვისტო. აქ გაიმართა მატჩი გათამაშების ლიდერს — მოსკოვის „სპარტაკსა" და ადგილობრივ ოფიცერთა სახლის გუნდს შორის.

ლიდერმა განიცადა დამარცხება ანგარიშით 1:3.

საქართველოს პირველობა .

22 აგვისტოს გაიმართა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი" და ბათუმის „დინამო". გუნდებმა თამაში დაიწყეს ფრთხილად. რკინიგზელებს ჰქონდათ უპირატესობა, მაგრამ თავდამსხმელები არაზუსტად ურტყამდნენ კარში. 27-ე წუთზე თოდრიამ მიიღო გრძელი გადაცემა და შორიდან მოულოდნელად დაარტყა კარში — 1:0. ტაიმის დასასრულს დინამოელებმა გაათანაბრეს თამაში და მალე გაქვითეს კიდეც გოლი — მენაბდე გაიჭრა მოწინააღმდეგის კართან და ძლიერად დაარტყა. მეკარე კიტიამ ფეხით მოიგერია ბურთი, მაგრამ მენაბდემ ხელმეორე დარტყმით გაიტანა გოლი — 1 : 1.

მეორე ტაიმი დიდი ხნის განმავლობაში ურთიერთ იერიშებში მიმდინარეობდა. 30 წუთის განმავლობაში ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა. ბოლო 15 წუთის მანძილზე ბათუმელთა მცველებმა და მეკარემ რამდენიმე შეცდომა დაუშვეს და კახიანმა, ხაზარაძემ და ცაგარეიშვილმა ზედიზედ გაიტანეს ბურთები. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვა „ლოკომოტივმა".

• • •

სტალინირის „სპარტაკმა" თავის მინდორზე მიიღო გორის „დინამო". მატჩის დასაწყისი სპარტაკელთა იერიშებით აღინიშნა, მაგრამ თავდამსხმელები გადამწყვეტ მომენტში კარგავდნენ ბურთებს. მალე ინიციატივა გორელთა მხარეს გადავიდა, რომელთაც შესვენებამდე ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. მეორე ტაიმში „სპარტაკმა" გაქვითა ერთი გოლი, რასაც „დინამომ" მესამე გოლით უპასუხა. მატჩი მოიგო გორის „დინამომ" — 3:1.

• • •

თბილისში თამაშობდნენ 26 კომ. სახ. რაიონის გუნდი და „ბურევესტნიკი" (ფოთი). პირველ ტაიმში ინიციატივა მთლიანად ეპყრათ ხელთ მასპინძლებს, რომლებმაც 3 „მშრალი" ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. მეორე ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის კარში თითო ბურთი გაიტანეს. საბოლოო ანგარიშია 4:1 26 კომ. სახ. რაიონის გუნდის სასარგებლოდ.

„დინამო" (თბილისი)

ინდონეზია (ნაკრები)

◆

თბილისი. 23 აგვისტო. „დინამოს" სტადიონი.

„დინამო" (თბილისი) — ინდონეზია (ნაკრები) — 5:2 (2:0).

ინდონეზია — საელანი, ხაირუდინი, კიატ სეკი, ხიმ ჩიანგი, სიონ ლიონგი, ლიონგ ხოუ, რამლი, ვიტარსი, რამანგი, დანუ, ადე.

„დინამო" — პირაევი, კოტრიკაძე, [illegible], ხოჰოლავა, იამანიძე, ლოლობერიძე, ხასაია, გაგნიძე, კალოევი, ჰკუასელი, მესხი.

მსაჯი კ. ყრუაშვილი (თბილისი).

◆

მრავალრიცხოვანი მაყურებელი გულთბილად შეეგება ინდონეზიელ ფეხბურთელთა გამოჩენას მინდორზე. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ი. ბოჭორიძემ. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ინდონეზიის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა, ინდონეზიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბ-ნმა მალადიმ.

თამაში სტუმრებმა დაიწყეს. წამსვე მათი ხუთივე თავდამსხმელი სწრაფად ამოძრავდა და ფართოდ გაიშალა მინდორზე. ისინი გრძელი გადაცემებით გადიოდნენ მოედნის შუაგულს და ცდილობდნენ დინამოელებზე ადრე ელოთ ბურთი ისე, რომ მოესწროთ მისი დამუშავება მათთან პირისპირ შებრძოლებამდე.

მალე გამოირკვა, რომ ინდონეზიის გუნდის მცველები გაცილებით ჩამორჩებოდნენ თავისივე თავდამსხმელებს სისწრაფეში. ამიტომ თბილისელებმა შეთავაზებული ტემპი მიიღეს. მე-6 წუთზე ხასაია სწრაფად გავიდა მარჯვენა ფრთაზე და კარის წინ ჩააწოდა კალოევს, რომელმაც ბურთი თავით გაგზავნა კარში—1 : 0.

პირველ გოლს მოჰყვა რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი სტუმრების კართან. ხაირუდინი და ხიმ ჩიანგი ადვილად ტყუვდებოდნენ ცრუ მოძრაობებზე და „დინამოს" გარემარბები ხასაია და მესხი შეუფერხებლად გადიოდნენ ფლანგებზე. მხოლოდ შეტევის ბოლო ფაზაში მოქმედებდნენ თბილისელთა თავდამსხმელები შეუთანხმებლად და ფლანგებიდან მოწოდებული ბურთები უშედეგოდ იკარგებოდა საჯარიმო მოედანზე. პარტნიორებმა რამდენჯერმე გაიყვანეს ჰკუასელი საბოლოო დარტყმებისათვის, მაგრამ იგი ამჯერად მაღლა გზავნიდა ბურთებს.

თამაში ძირითადად ინდონეზიელთა ნახევარზე მიმდინარეობდა. მათ კარის უშუალო სიახლოეს, როგორც წესი, ყოველთვის ჰყავდათ 4 მცველი, რომელთაგან ერთი — კიატ სეკი ოდნავ უკან იყო დაწეული. დანაკლისს ნახევარდაცვაში ავსებდა ვიტარსა, რომელიც არსებითად მთავარი „კომბინატორის" როლს ასრულებდა გუნდში. იგი კარგად პოულობდა თავისუფალ ადგილს კომბინაციის დასაწყებად, ზუსტად ანაწილებდა ბურთებს და ხშირად თვითვე ასრულებდა საბოლოო დარტყმებს კარში შორი მანძილიდან. მეტად სწრაფად, ძლიერად თამაშობდა მარჯვენა ფრთაზე რამლი და ხოჰოლავა იძულებული იყო ყურადღების მთელი დაძაბვით ემოქმედა მის წინააღმდეგ. იერიშის შემთხვევაში უკან დახეული ნახევარმცველი სწრაფად გამოდიოდა წინ თავის ადგილზე.

მთელი რიგი გამოუყენებელი შესაძლებლობების შემდეგ დინამოელებმა ახალ წარმატებას მიაღწიეს: ხასაიამ ჰკუასელის გადაცემიდან შორიდან დაარტყა კარში. საელანმა კარგად ვერ გაიანგარიშა თავისი ნახტომი და მეორე ბურთი გაუშვა.

ტაიმის დამთავრებამდე ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა. მეორე ტაიმი მარცხიანად დაიწყო სტუმრებისათვის. გაგნიძემ მარჯვენა ფრთიდან ძლიერად ჩააწოდა ცენტრში, სადაც კალოევმა ზუსტად ისეთივე ბურთი გაიტანა, როგორც პირველ ნახევარში — 3 : 0.

სტუმრებს მაშინვე მიეცათ ერთი ბურთის გაქვითვის საშუალება. იამანიძემ სრულიად გაუმართლებლად ხელით ითამაშა თავისი კარის წინ, მაგრამ კიატ სეკის მიერ დარტყმული პენალტი აიღო პირაევმა.

ინდონეზიელებმა ცადეს შეტევის მთავარი მიმართულების შეცვლა და რამლი მარცხენა ფრთაზე გადაიყვანეს. სანამ ისინი თავის ექსპერიმენტებს ახდენდნენ, გაგნიძემ ჯერ ჰკუასელის მიწოდებიდან გაიტანა ბურთი კარში, ხოლო შემდეგ მეკარის მიერ უკუგდებულ ბურთს მიუსწრო და ანგარიში 5-მდე აიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ განსხვავება ანგარიშში ასე სწრაფად გაიზარდა, სტუმრებმა კიდევ უფრო მონდომებით და აქტიურად დაიწყეს თამაში. რამლი გაცილებით უფრო სახიფათო იყო მარცხენა ფრთაზე, სადაც კოტრიკაძემ რამდენჯერმე დაუშვა სერიოზული შეცდომა. ინდონეზიელი ოდნავ იხევდა მინდვრის სიღრმეში და შემდეგ მოულოდნელად და მეტად სწრაფად გადიოდა კართან, სადაც ღებულობდა გადაცემას ვიტარსას ან რამანგისაგან.

25-ე წუთზე კომბინაცია—ვიტარსა-რამანგი-დანუ დამთავრდა გოლით, რომელიც ამ უკანასკნელმა გაიტანა ახლო მანძილიდან. მოკლე ხანში ადემ შორიდან „დაჰკიდა" ბურთი კართან, მაგრამ ბურთმა შეიცვალა მიმართულება და მოხვდა ზედა ძელს. კიდევ ერთხელ იხსნა ძელმა „დინამოს" კარი ვიტარსას ძლიერი დარტყმის შემდეგ.

გაისმა გონგის ხმა. სტუმრებმა უკანასკნელად შეუტიეს მოწინააღმდეგეს. რამლიმ ერთხელ კიდევ გაიმეორა თავისი მანევრი. ზუსტად მიუსწრო მარჯვენიდან მიწოდებულ ბურთს და თავით შორეულ კუთხეში გაგზავნა იგი. პირაევი არც განძრეულა — 2:5.

ამ ანგარიშით თბილისის „დინამოს" სასარგებლოდ დამთავრდა ეს მატჩი, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა.

რ. ქორიძე

• • •

სურათზე: სახიფათო მომენტები ინდონეზიელთა კართან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჭაბუკთა შეჯიბრება

მოსკოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ფინალი.

მორიგ ტურში ახალი გამარჯვება მოიპოვა უკრაინის გუნდმა. ლიდერმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა რუსეთის ფედერაციის კოლექტივი. პირველი გამარჯვება მოიპოვა თურქმენეთის ნაკრებმა, რომელმაც მოუგო აზერბაიჯანის გუნდს — 4:2. მოსკოვისა და თურქმენეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

მეტად დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა მოსკოვისა და საქართველოს ჭაბუკთა მატჩი. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მოსკოველებმა

ჩემპიონის სახელისათვის

ე. ბიკოვა — ლ. რუდენკო — ო. რუბცოვა

21 აგვისტოს მოსკოვში მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის გახსნაზე თავი მოიყარეს დედაქალაქის საზოგადოებრიობამ — გროსმაისტერებმა, ოსტატებმა და ჭადრაკის მოყვარულებმა. მატჩ-ტურნირი გახსნა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. პოსტნიკოვმა. შეჯიბრების მონაწილეებს, საბჭოთა მოჭადრაკეებს მსოფლიო ჩემპიონს ე. ბიკოვას, ლ. რუდენკოსა და ო. რუბცოვას მიესალმა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ფ. როჯარდი. მატჩ-ტურნირის მთავარმა არბიტრმა ფ. ანდერსონმა (შვეცია) დამსწრეთ შეჯიბრების გათამაშების წესები გააცნო. სხვათა შორის მან განაცხადა, რომ მატჩ-ტურნირში, რომელიც 22 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე გაგრძელდება, 24 ტური გათამაშდება. თვითეული მოჭადრაკე თავის მოწინააღმდეგესთან რვა პარტიას ითამაშებს. თუ ბიკოვამ შეჯიბრების ერთ-ერთ მონაწილესთან I-II ადგილი გაიყო, მაშინ იგი მსოფლიო ჩემპიონის სახელს ინარჩუნებს. მაგრამ თუ რუდენკომ და რუბცოვამ გაიყვეს I-II ადგილი, მაშინ მათ შორის დაინიშნება დამატებითი მატჩი ოთხი პარტიიდან.

შემდეგ მოეწყო კენჭისყრა. № 1 შეხვდა ო. რუბცოვას, № 2 — ე. ბიკოვას და № 3 — ლ. რუდენკოს.

22 აგვისტოს შედგა I ტური, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ ბიკოვა და რუდენკო. პარტიამ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ბიკოვამ თუმცა ფიგურების განვითარების ორიგინალური სისტემა აირჩია, მაგრამ ვერ მიიღო საგრძნობი უპირატესობა. პირიქით, რუდენკომ სულ მალე შეძლო დაცვისუნარიანი პოზიციის შექმნა.

შემდგომ რუდენკომ რამდენადმე არასწორად ითამაშა და მსოფლიო ჩემპიონმა მოახერხა ფიგურების აქტიურად განლაგება და იერიშის დაწყებაც. 23-ე სვლაზე ხარისხის შეწირვით ბიკოვამ შავების მეფეს სახიფათო მუქარები შეუქმნა, რომლის მოგერიებისას რუდენკო იძულებული გახდა მატერიალური მსხვერპლი გაეღო. პარტია გადაიდო ისეთ პოზიციაში, რომელშიც ბიკოვას სამი ზედმეტი პაიკი აქვს.

II ტურში ბიკოვა რუბცოვას შავებით ეთამაშებოდა. ფრანგულ დაცვაში, რომელიც მან გაითამაშა, შევიწროებული პოზიცია მიიღო რუბცოვამ, რომელიც დასაწყისში მეთოდურად უტევდა ბიკოვას მეფის ფრთას, მოულოდნელად და შეცდომით გახსნა თამაში. მსოფლიო ჩემპიონმა უმალვე გამოიყენა კონტრთამაშის საშუალება და დაასუსტა მეტოქის მეფის პოზიცია. მოწინააღმდეგეებმა ამ ოპერაციებზე დიდი დრო დახარჯეს. 25 სვლას მათ 2-2 საათი მოანდომეს. მოახლოებულ ცაიტნოტში ბიკოვამ შეცდომა დაუშვა და სერიოზული მატერიალური ზარალი ნახა. პარტია არ დამთავრებულა. უპირატესობა რუბცოვას მხარეზეა.

ს უ რ ა თ ზ ე: ხალხთა სპარტაკიადა. გამარჯვებულის კვარცხლბეკზე — უმძიმესი წონის მოჭიდავეები. მარცხნიდან მეორე საბჭოთა კავშირის 1956 წლის ჩემპიონი მ. ცალქალამანიძე.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

◆

თბილისი

„ლოკომოტივის" საგზაო საბჭომ ამას წინათ მოაწყო ამხანაგური შეხვედრები ფრენბურთში, კალათბურთსა და ჭადრაკში. ფრენბურთელთა შეხვედრებში მონაწილეობას ღებულობდნენ საორთქლმავლო დეპოს, ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის, სავაგონო უბნისა და სამგზავრო სადგურის სპორტსმენები. შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ სავაგონო უბნის ფრენბურთელები.

კალათბურთის მოედანზე თამაშობდნენ თბილისისა და ლენინაკანის „ლოკომოტივის" ნაკრები გუნდები. შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა — 57:17.

ზ. ფამილიანტი

ქუთაისი

„დინამოს" სტადიონზე გაიმართა ქუთაისის პიონერული ბანაკების სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 200-მდე ნორჩმა სპორტსმენმა.

სპარტაკიადის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი და მძლეოსნობა. საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ ქალაქის № 2 პიონერული ბანაკის ნორჩი სპორტსმენები.

• • •

ყოველდღიურად მრავალი ტურისტი ჩამოდის ქუთაისში. სეზონის დაწყებიდან დღემდე ტურისტულმა ბაზამ მომსახურება გაუწია 1500-მდე კაცს, რომელთაგან 1200-ს გადაეცა საბჭოთა კავშირის ტურისტის ნიშანი.

ტურისტები ჩამოდიან მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, მინსკიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, ნალჩიკიდან, ხაბაროვსკიდან, ვლადივოსტოკიდან და ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებიდან.

ი. გუხაიძე

სიღნაღი

რაიონის სპორტულ ბაზებზე მოეწყო შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობასა და სპორტის სხვა სახეობებში.

ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლისა და რაიონის ნაკრებ კალათბურთელთა შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვეს მოსწავლეებმა. ამ კოლექტივების ფრენბურთელთა გუნდების შეჯიბრება აღინიშნა რაიონის ნაკრების უპირატესობით.

ნ. მღებრიევა

ფართოვდება ტურისტული კავშირები

ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში „ინტურისტის" საკავშირო სააქციო საზოგადოების სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ი. ხარჩენკომ საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართა პრეს-კონფერენცია.

ჩვენს ქვეყანაში ტურისტული სეზონის ექვსი თვის განმავლობაში ჩამოსული იყო ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების 12 ათასზე მეტი მოგზაური.

უცხოელ სტუმრებს შექმნილი აქვთ ფართო საშუალება საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და ყოფის, ჩვენი ქალაქების ღირსშესანიშნაობათა, არქიტექტურული და კულტურული ძეგლების დათვალიერებისათვის.

„ინტურისტი" ყოველმხრივ ხელს უწყობს ჩვენს ქვეყანაში უცხოელი მოქალაქეების, მუშების, სტუდენტების, ინტელიგენციის წარმომადგენლების ჩამოსვლას. ჩვენი სახელმწიფო საზღვრიდან მათი მომსახურების პირველ პუნქტამდე და მომსახურების უკანასკნელ პუნქტიდან საზღვრამდე მგზავრობისას სარკინიგზო ტარიფებზე 50 და 75 პროცენტით ნაკლებს ახდევინებენ. „ინტურისტმა" შესაძლებლად მიიჩნია, რომ 16 აგვისტოდან ტურისტებზე დამატებით (კომპლექსური მომსახურების ანგარიშში) დღეში პირადი ხარჯებისათვის 25 მანეთი გასცეს.

ცდილობს რა გააფართოოს საქმიანი ურთიერთობა, „ინტურისტმა" დაამყარა ხელშეკრულებითი ურთიერთობა 59 უცხოელ ტურისტთა ფირმასთან და ევროპის, აზიის, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკისა და აფრიკის 35 სახელმწიფოს ორგანიზაციასთან. პრაქტიკული საქმიანი კავშირი „ინტურისტს" 110-ზე მეტ ფირმასთან აქვს.

— „ინტურისტი", — თქვა დასასრულს ბ. ი. ხარჩენკომ, — უკვე შეუდგა მომავალი წლის ტურისტული სეზონისათვის მზადებას.

არაჩვეულებრივი ნახტომი

ამას წინათ ამერიკულმა ჟურნალმა „ნიუს-სუიკმა" გამოაქვეყნა საინტერესო ცნობა გამორბენით სიმაღლეზე ხტომის მსოფლიო რეკორდის შესაძლებელი ზღვარის შესახებ.

როგორც ცნობილია, სიმაღლეზე ხტომის მსოფლიო რეკორდი (2.14,6) ჩარლზ დიუმასს ეკუთვნის. მისი მწვრთნელი ჰ. სმიტი ამბობს, რომ დიუმასმა ამ მეტად მაღალ შედეგს 4 წლის დაძაბული ვარჯიშით მიაღწია. ამასთან დაკავშირებით კორესპონდენტი შენიშნავს, რომ დიუმასის შედეგი არ არის ზღვარი და მკითხველებს მოუთხრობს იმის შესახებ, რომ ნიასალენდის შტატის სოფელ რუანდაში არიან შესანიშნავი მოხტუნავეები. ამ სოფლის მცხოვრებთა საშუალო სიმაღლე 2 მეტრი და 13 სანტიმეტრია. სოფლის საუკეთესო მხტომელმა ვინმე ნგოგამ ერთხელ 2 მეტრი და 45 სანტიმეტრის სიმაღლე გადალახა. ნგოგა ხტებოდა პატარა, 18 სანტიმეტრის სიმაღლის ბორცვიდან. ნგოგა 37 წლისაა. იგი კორესპონდენტის თანდასწრებით გამორბენით 2 მეტრსა და 21 სანტიმეტრის სიმაღლეზე გადახტა, მაგრამ ვერ აიღო 2 მეტრი და 45 სანტიმეტრის სიმაღლე (ნახტომი იზომებოდა ბორცვის მწვერვალიდან).

ოლიმპიური თამაშების წინ

დ. ფერისის ინტერვიუ

ფრანგულ გაზეთ „ეკიპში" გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების მოყვარულ მძლეოსანთა კავშირის გენერალური მდივნის დ. ფერისის ინტერვიუ, რომელშიც იგი პასუხობს მთელ რიგ კითხვებზე.

კითხვა: იციან თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომ საბჭოთა კავშირში გიგანტურ მუშაობას ეწევიან, რათა გაუსწრონ ამერიკელებს მძლეოსნობაში ოლიმპიურ თამაშებზე.

პასუხი: დიახ, ჩვენ ეს კარგად ვიცით. მე პრესის საშუალებით გავეცანი, თუ როგორ ემზადებიან რუსები ოლიმპიური თამაშებისათვის. ჩვენ ვეცდებით შევინარჩუნოთ უპირატესობა.

კითხვა: არიან თუ არა აშშ-ს მძლეოსნები ამჟამად უფრო ძლიერები, ვიდრე ოდესმე იყვნენ?

პასუხი: მე ვფიქრობ არიან. ჩვენ არასოდეს არ გვყავდა ისეთი ახალგაზრდა მძლეოსნები, რომლებსაც შეეძლოთ ეჩვენებინათ მაღალი შედეგები და გაეუმჯობესებინათ კიდეც ისინი. მაგალითად, მძლეოსნობის ისტორიაში ჩვენ პირველად გვყავს ოთხი ჭოკით მხტომელი, რომლებიც თავისუფლად ძლევენ 4,57 მ სიმაღლეს.

კითხვა: თქვენი აზრით რომელი ამერიკელი მძლეოსნები გაიმარჯვებენ ოლიმპიურ თამაშებზე?

პასუხი: პირველ რიგში მე დავასახელებ ობრაიენს, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს თავისივე მსოფლიო რეკორდი ბირთვის კვრაში, ობრაიენმა ფანტასტიკურ შედეგს მიაღწია დახურულ შენობაში ბირთვის კვრისას — 18,72 მ. იგი ბადროს ტყორცნის 56 მეტრზე, 100 მეტრს გარბის 10,7 წამში. ობრაიენის შემდეგ დავასახელებ ათჭიდელ ჯონსონს, ჭოკით მხტომელებს რიჩარდსა და ბრეგს. 110 მეტრზე თარჯრბენში ჩვენ გვყავს სამი სპორტსმენი, რომლებიც ალბათ მოიპოვებენ გამარჯვებას. ესენი არიან დევისი, კალჰუნი და კემპბელი. სპრინტში შეიძლება გამარჯვებული გამოვიდნენ მოროუ, ზიმი, რიჩარდი, 400 მეტრზე — ჯენკინსი, ჯონსი და ლი, ხოლო 800 მეტრზე—სოუელი და კურტნეი.

კითხვა: როგორია ამერიკის შეერთებული შტატების გეგმები იმასთან დაკავშირებით, რომ თამაშები შედგება ნოემბერ-დეკემბერში?

პასუხი: ავსტრალიაში გამგზავრებამდე განზრახული გვაქვს მთელი რიგი შეჯიბრებების ჩატარება უცხოელ მძლეოსნებთან. ჩვენი ნაკრების წევრები ვერ წავლენ ევროპაში, წელს მათ საერთოდ უფლება არა აქვთ გავიდნენ საზღვარგარეთ, ამიტომ სკანდინავიის ქვეყნებთან განზრახული მატჩი არ შედგება. მაგრამ 27-28 ოქტომბერს ლოს-ანჟელოსში მოეწყობა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება იმ სპორტსმენთა მონაწილეობით, რომლებიც ამერიკაზე გავლით წავლენ მელბურნში.

კითხვა: აკვირვებთ თუ არა ამერიკელ მწვრთნელებს ევროპისა და ავსტრალიის მძლეოსანთა მაღალი შედეგები?

პასუხი: არა. ჩვენი მწვრთნელები თვლიან, რომ მათი საზღვარგარეთელი კოლეგები ახლა უფრო ნაყოფიერად იყენებენ ახალ ტექნიკას, ვიდრე წინათ, ხოლო მძლეოსნები დიდ ყურადღებას უთმობენ სრულწლიურ წვრთნას.

კითხვა: მართალია თუ არა, რომ სოუელი საუკეთესო მორბენალია 800 მეტრზე? რითი აიხსნება, რომ იგი ამ დისტანციაზე არასოდეს არ აჩვენებს 1.47,0-ზე უარეს შედეგს?

პასუხი: მე ვფიქრობ, რომ სოუელი საშუალო დისტანციაზე იგივეა, რაც ოუენსი იყო სპრინტში. სოუელი 20 წლისაა. მას ფანტასტიკური შესაძლებლობა აქვს. შეუძლია 100 მეტრი 10,4 წამში გაირბინოს, ხოლო 5.000 მეტრი — 14 წუთზე უკეთეს დროში. იგი ყველაზე კარგი მორბენალია მათ შორის, ვინც კი მე ოდესმე მინახავს. იგი დარბის არა იმისათვის, რომ აჩვენოს საუკეთესო შედეგი, არამედ, რომ გაიმარჯვოს. იგი, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა ოლიმპიური თამაშებისათვის, მაგრამ მიაღწევს იმდენს, რომ ფინალში მოხვდეს, ხოლო ფინალში მას ვერავინ აჯობებს.

კითხვა: რამდენად სერიოზულია უიტფილდის განცხადება თითქოს იგი ემზადება 400 მეტრზე თარჯრბენში? თქვენი აზრით, რომელი ადგილისათვის უნდა იბრძოლოს მან?

პასუხი: იგი განსაცვიფრებელი ავტომატიზმით მოქმედებს, ხოლო მისი ამტანობა და სისწრაფე კარგადაა ცნობილი. გარდა ამისა, უიტფილდი იმდენადაა დარწმუნებული თავის გამარჯვებაში, რომ ადვილი შესაძლებელია პირველი ადგილი მოიპოვოს.

ბახმაროში

მაღალმთიან კურორტ ბახმაროში მოეწყო შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში, დოღში, მარულაში, სიმაღლეზე ხტომაში, ცხენბურთსა და ისინდში. პირველ ადგილს ერთმანეთს ეცილებოდნენ ქუთაისის, ფოთის, ადიგენისა და ჩოხატაურის რაიონების სპორტსმენი ცხენოსნები.

დაბრკოლებათა გადალახვაში თავი გამოიჩინა ქუთაისელმა ა. გამრეკელიძემ, რომელსაც მიეკუთვნა პირველი ადგილი. სიმაღლეზე ხტომაში ა. გამრეკელიძემ, ფოთელმა ც. შურღაიამ და ადიგენელმა მ. ბაიდაკოვმა ერთნაირი სიმაღლე — 150 სმ დაძლიეს, მაგრამ პირველი ადგილი მიეკუთვნა გამრეკელიძეს, რომელმაც სიმაღლის გადალახვას ნაკლები ცდა მოანდომა.

საინტერესო გამოდგა შეჯიბრება მარულასა და დოღში. თოთხმეტკილომეტრიანი მანძილი ყველაზე ადრე დაფარა მ. ბაიდაკოვმა. 10 კილომეტრზე მარულაში 8 სპორტსმენი მონაწილეობდა. პირველობისათვის ბრძოლა ა. ქღენტს (ჩოხატაური), 15 წლის ზ. ტოტიკოვს (ფოთი) და ბაიდაკოვის შორის მიმდინარეობდა. ფინიშთან პირველი მივიდა ზ. ტოტიკოვი.

გ. ახალაია

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: დაბრკოლებათა გადალახვის მომენტი.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03095